


Von den Georgianen die auch wolken cristen syn.

Doch mee ist eyn ander volck yn orient vort von iherusalem w
nende. des herrschafft sich strecket bis zu de bergen Caspyos gen
vnd ist gar eyn stryckbar volck vñ starck vnd vil ritterschafft

bende. auch groß weck ynn stryck vermügende. also
persey. medi vnd Assirij. yr anstosser oder nachkumer. sie gar vil for
ten. vnd wie wol dis volck vff alt syten vñ
bign. noch dan forchte es die selben nit. sunder es wurde von allen de
selben geforchtet vñ setten geleydiget. Sie heissen
Georgio dem heiligen ritter den sie fur eyn besundern man vñ va
surer halten. vnd eren ynen mit grosser andacht vñ
wan sie zu veld vñ zyecken yn stridit. Von disen luten wonen vil zu i
rusalem. vil heiliger stett yn habende. doch besunder den berg Caluar
vnd das loch dar yn das cruz stund yn eym velsen der auch ryh do cr
stus am cruz verschyede. By dem selben ortz haben sie ein altar vñ g
meynlichen eynen von den yren dar ynne verslossen denen zu bewar
Dar zu haben sie yn gebrauch die kyrck der heiligen engel. do erwan da
huß Anne des bischoffs stund. dar yn vnser herr vñ de ölberg zum ers
ward gefüret 7c. Item dise Georgiani volgen nach den kriechesche
yn allen yren artikelen vñ yrtümen auch yn den sacramenten. dem nach
sie eben als wol scismatici oder vngheorsam der Römischen kyrcken sy

ქნა ღა
კულტურა

Language and Culture



thun. Die georgianischen edeln frauen zyecken auch vñ yn stryck vn
gebrauchen weck yn maß wie die Amazonas. frauen also genät. die ey
eygen land ynn haben. Die menner diser nacionen zyecken yr kerth vn
haer. vñ lassen es nümer abscheren. Vnd tragen hütch vff yren haubte
von mancherley farwe. yn den gottlichen ampten vñ geschribten bru
den. sie heissen auch vñ sprach. aber luff die sarracenisck oder 7c

ქეთევან ჯაში

XX საუკუნე და ლექსიკური ცვლილებები თანამედროვე ფრანგულ ენაში

დღეს აღარ არის ის დრო, როდესაც უცხო ენის მასწავლებელს შეუძლია თავისი სწავლების მეთოდი მხოლოდ ამა თუ იმ სახელმძღვანელოს დაუკავშიროს და ამით შექმნას სარწმუნო სურათი იმისა, რომ ენა უცვლელია და არსებობს მხოლოდ ენობრივი ნორმა, რომლითაც ენა მოქმედებს. მან იცის, რომ ფრანგული ენა მუდმივ ცვლილებას განიცდის. «ყოველი ენა იცვლება, რადგან იგი ფუნქციონირებს», სიამოვნებით იმეორებდა ამ სიტყვებს ანდრე მარტინე. იმ ადგილის მიხედვით სადაც იგი ვითარდება და იმ ადამიანების მეშვეობით, რომლებიც ამ ენაზე საუბრობენ, ესა თუ ის ენა ღებულობს ისეთ ფორმებსა და ფერებს, რომლითაც ის მდიდრება და რომლებიც ზოგჯერ დამკვირვებლის გარკვეულ დაბნეულობასაც კი იწვევს. სწორედ ენის გამოყენების ეს მრავალფეროვნება წარმოადგენს ფრანგული ენის ახლანდელი დინამიკის არსს.

ენობრივი ცვლილებები ყოველთვის ნელა მიმდინარეობს, ენის მატარებელი ვერც კი აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ ენა მუდმივ მოძრაობაშია.

ფრანგულ ენაში განსაკუთრებული ცვლილებები მოხდა ლექსიკაში. იგი ძალიან გამდიდრდა, რითაც თანამედროვე ცხოვრებისა და გლობალიზაციის პროცესებთან ადაპტაცია განიცადა. ცვლილებები მოხდა ფონეტიკაშიც. განსაკუთრებით ხმოვანთა სიტემაში. ცვლილებები მოხდა გრამატიკის სფეროშიც. შეიმჩნევა ერთგვარი თავისუფლება სინტაქსის სფეროში, აღარ გამოიყენება ზოგიერთი ზმნური ფორმა.

XX საუკუნის დასაწყისში ფრანგულ ენაში უამრავი კილოკავი არსებობდა. ბევრი მეცნიერი ეწინააღმდეგებოდა ამ კილოკავების არსებობას და მათ გაუქმებასაც კი ითხოვდა. მაგრამ ენა მაგიური ჯოხის ერთი ხელის მოქნევით როდი კვდება. რა თქმა უნდა სოფლებში და ზოგჯერ ქალაქებშიც კი საუბრობდნენ დიალექტებზე. ზოგმა მხოლოდ თავისი რეგიონის კილოკავი იცოდა. პირველმა მსოფლიო ომმა გარკვეული ცვლილებები შეიტანა ფრანგულ ენის ლექსიკურ შემადგენლობაში. საყოველთაო მობილიზაციის დროს, ერთი და იმავე პოლკებში ერთი რეგიონიდან ჩამოსული ჯარისკაცები მოხვდნენ. მათ საუბარი ერთმანეთში თავიანთ კილოკავზე უწყევდათ. ომის დასაწყისში ბევრი ჯარისკაცი დაიღუპა. ამიტომ პოლკებში დაიწყო იმ ჯარისკაცების გაერთიანება, რომლებიც სხვადასხვა, შედარებით შორეული რეგიონებიდან იყვნენ წამოსულები. ისინი ერთმანეთში თავიანთ კილოკავებზე ვეღარ საუბრობდნენ, რადგან ერთმანეთის არ ესმოდათ. თითოეული ცდილობდა ესაუბრა ფრანგულ ენაზე. ეს ის ენა იყო, რომელიც მათ სკოლაში ისწავლეს.

ოთხწლიანი ომის დამთავრების შემდეგ, უკვე ყოფილ ჯარისკაცებს ჩვევა გაუჩნდათ საკუთარი აზრი ფრანგულად გამოეთქვათ. სწორედ ყველაზე დიდი დარტყმა ამ მხრივ დიალექტებმა განიცადეს.

XX საუკუნე გახდა ის საუკუნე, როდესაც ფრანგული ენა გახდა ყველასათვის საერთო. რაც შეეხება რეგიონალურ კილოკავებს, მათ უფრო სოფლებში იყენებდნენ. მოფერებითი, პოეტური ანდა ხშირად გართობის მიზნით. ფრანგული ენა საერთო ენა გახდა, მაგრამ ეს როდი ნიშნავდა იმას, რომ ის ერთგვაროვანი იყო ყველგან. ხშირად ამა თუ იმ რეგიონში გაიგონებდით უცნაური წარმოთქმის ფორმას, ისეთ გრამატიკულ ფორმას, რომელიც აღარ გამოიყენება, ისეთ სიტყვას რომელიც არასდროს გაგიგონიათ. თუმცა საერთო ტენდენციები XX საუკუნის დასაწყისიდან ჩნდება.

მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელსაც ადგილი ჰქონდა XX საუკუნის დასაწყისში ლექსიკის სფეროში, შეეხება არგოს ფუნქციის ცვლილებას, რომელიც აღარ წარმოადგენს განსაკუთრებული

სოციალური ჯგუფის ენას, არამედ აღწევს ნელა ენაში და ადგილს იმკვიდრებს საერთო ფრანგულ ენაში, რაც ზოგიერთ ადამიანს ათქმევინებს, რომ “არგო მოკვდა”.

XX საუკუნის მანძილზე, სასაუბრო ენაში გადადის არგოტული სიტყვები, რომელთაც განსხვავებული დიალექტური წარმოშობა გააჩნიათ. მაგალითად: *turbiner* <ჩრდილოეთის დიალექტიდან; *resquiller, camoufler, cambrioler* <პროვანსალური და სამხრეთის დიალექტიდან; *gambette, ringard* <პიკარდიული დიალექტიდან; *abouler, au rencart* <ნორმანდიული დიალექტიდან; *moutard* <ფრანკოპროვანსალური დიალექტიდან; *casquer, à la manque* <იტალიურიდან.

1900 წლიდან მხატვრულ ლიტერატურაში გამოიყენება ისეთი სიტყვები და გამოთქმები, როგორებიცაა *chiper, chopper, carotter, gaffe, c'est de la frime...* თავდაპირველად ამ არგოტული სიტყვების გამოყენება ლიტერატურაში შეზღუდული იყო, შემდეგ კი მათი გამოყენება დაიწყო ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე, თითქოს ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ამ პერიოდის რომანებს თუ გადავიკითხავთ, შეიძლება გავაკვირვოს იმ ფაქტმა, რომ სიტყვა *embêtant* - მოსაბეზრებელი, იმ დროს აღიქმებოდა, როგორც უხეში სიტყვა. ეს სიტყვა დღესაც გამოიყენება, მაგრამ მან თანდათან დაკარგა თავისი ვულგარულობა იმ სიტყვების ფონზე, როგორებიცაა *emmerdant, chiant*, რომლებიც გაცილებით უხეშია, რომლებიც ყოველ წუთს გვესმის საუბრის დროს და აქეთ იგივე მნიშვნელობა, რაც სიტყვა *embêtant*-ს.

დიდი როლი ითამაშა აგრეთვე პირველმა მსოფლიო ომმა ისეთი სიტყვების დამკვიდრებაში, რომლებიც მხოლოდ ჯარიკაცთა ენას ანუ ეგრეთწოდებული *parler poilu*-ს მიეკუთვნებოდა.

სანგრებში ერთმანეთის გვერდით იბრძოდნენ ინტელექტუალები, მრეწველები, სამხედროები, სხვადასხვა დაწესებულებაში მომუშავე პირები, მუშები და გლეხები, რისი შედეგიცაა ყველას მიერ ისეთი ფორმების გამოყენება, რომლებიც აქამდე მხოლოდ რამდენიმე ჯგუფის მიერ თუ გამოიყენებოდა. რეგიონალურმა დიალექტებმა გარკვეული წვლილი შეიტანა ფრანგული ენის ლექსიკის გამდიდრება-განახლებაში. ესენია: *tambouille* <დასავლური დიალექტი; *pagaille, panard, balèze* <პროვანსალური დიალექტი; არაბულიდან შემოვიდა სიტყვები: *kif-kif, clebs*; უკვე ნაცნობი და ფართოდ გავრცელებული სიტყვებია *toubib, matraque, chouia, flouz*; ინგლისურიდანაა მიღებული ფორმები: *en gentleman, tank*. გამოიყენებოდა ისეთი ზმნა, რომლის მნიშვნელობა ბუნდოვანია. ესაა ზმნა: *pouloper* “galoper”, რომელიც უფრო ცხენოსანთა და მეეტლეთა ტერმინებია, რომელიც ინგლისური ზმნა *pull up!*-იდან არის ნასესხები. ეს უფრო შორისდებულია, რომელიც გამოიყენება გასამხნეებლად, *მიდი!, გაბედულად!* ისეთი ცნობილი მწერალი როგორიც სელინია, მას იყენებს სხვა მნიშვნელობით - “სწრაფად სიარული, გააქტიურება”. თუ ზოგიერთი სიტყვა, როგორიცაა *pouloper* მივიწყებასაა მიცემული, სხვა სიტყვები პირიქით, არა მარტო შემორჩა ენაში, არამედ საზოგადოების ყველა წრეში გაიგონებთ მათ. სამხედრო არგოდან თანამედროვე ფრანგულ ენაში გადავიდა ბევრი სიტყვა, რომლებიც ჩვეულებრივად გამოიყენება ყველას მიერ. ესენია: *pépère* - კომფორტაბელური; *casse-pipe* - სასიკვდილო ბრძოლების ზონა; *poulet* - პოლიციელი; *ratatiner* - განადგურება; *ne pas blairer (ne pas sentir)* - ვისიმე მიმართ სიძულვილის გამჟღავნება; *mettre en boîte* - დაცინვა; *à la noix coco* - უმნიშვნელო; *être à la page* - მოლაში ჰოფნა; *faire le poireau* - დიდხანს ლოდინი.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ 1914 წლის ომმა თავისი კვალი დაამჩნია ენას იმით, რომ მისი მეშეობით საერთო ენაში შეაღწია ისეთმა სიტყვებმა, რომლებიც ენის ცალკეული მატარებლებისათვის იყო დამახასიათებელი.

ენის გამდიდრების საქმეში დიდი როლი ითამაშა რადიომაუწყებლობის განვითარებამ. ყველაფერი 1921 წლიდან დაიწყო, როდესაც შეიქმნა რადიოტელეფონი, რომლის ფართო გამოყენება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო. თუკი ადრე ყოველდღიური საუბარი არ სცილდებოდა ამა თუ იმ კომუნის, კანტონის, თუ დეპარტამენტის ტერიტორიას, რადიოტელეფონის მეშვეობით სხვადასხვა მეტყველების მქონე ადამიანებთან უნდა ჰქონოდათ კავშირი. 1935 წელს სმენადობა გაუმჯობესდა და მომხმარებლების რიცხვმა იმატა.

1939 წელს რადიომიმღები 5 მილიონ ადამიანს ჰქონდა სახლში, მაშინ როდესაც მოსახლეობის რიცხვი 41 მილიონი იყო. იმ დროს დამკვიდრდა სიტყვა რადიო. იშვიათად იყენებდნენ სიტყვებს რადიოტელეფონი. თუმცა სიტყვები ერთ დღეში არ კვდება, ძალიან დიდხანს

ომის შემდგომ ზოგიერთი მწერალი, მათ შორის **სარტრიც** საუბრობენ რადიოტელეფონზე როგორც საკუთარი ბავშვობის-დროინდელ მოგონებაზე.

1930 წლიდან კინემატოგრაფი ხმოვანი გახდა და სიტყვა კინოს გამოყენება დაიწყო. უფრო მოგვიანებით კი ფრანგულში სიტყვა *ciné* გაჩნდა. როგორც კი მეტროპოლიტენი ყველდღიური სატრანსპორტო საშუალება გახდა იგი შეიცვალა ფორმით – *métro*.

უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტი, რომ სიტყვებზე დიდ გავლენას ახდენს მათი გამოყენების სიხშირე. ეს პირველ რიგში ეხება მათ ფორმასა და სიგრძეს, როდესაც მათი გამოყენების სიხშირე მცირდება, მათმა სიგრძემ შეიძლება ცვლილება განიცადოს. ასე იყო კინოს შემთხვევაშიც, რომელიც ჯერ გახდა *ciné*, თუმა მან კვლავ ძველი ფორმა დაიბრუნა, მას შემდეგ რაც ტელევიზია მის კონკურენტად აღიქმება.

ზოგადად XX საუკუნე ხასიათდება უფრო მეტი და ხშირი ახალი ლექსიკური ფორმების დამკვიდრებით, რაც განპირობებული იყო როგორც სამეცნიერო და ტექნიკური პროგრესით, ასევე ფრანგული საზოგადოების მუტაციით, რომელიც სოფლური ცხოვრებიდან ქალაქურ ცხოვრებაზე გადავიდა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს XX საუკუნის დასაწყისისათვის ზოგიერთი სუფიქსის გაჩენა, რომლებიც საოცარი პროდუქტიულობით ხასიათდება. ესენია: *-isme, -iste, -ique*.

სიტყვების შემოკლებების მიხედვით, რომელთა რიცხვმაც იმატა, შეიძლება ახალი ტენდენციები აღმოვაჩინოთ. საუკუნის დასაწყისში უფრო ხშირად შემოკლებულ სიტყვებს *-ი-* ხმოვანი ემატებოდა. მაგალითად: *un prolo, un aristo, un populo*, დღეს უფრო ამბობენ *un prole, un bourge*. ასევე თავისუფლად ამბობენ *petit dèj, à s'taprem, à plus(à plut), un appart...*

ერთი სიტყვების შექმნა შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ორი ხერხით ხორციელდებოდა. პირველი ხერხი სიტყვებს წინდებულის მეშვეობით აკავშირებდა (*table de nuit, chambre à coucher*), მეორე კი, ორი არსებითი სახელის შეერთება-შერწყმით ქმნიდა სიტყვებს (*Hôtel-Dieu*). ეს უკანასკნელი გაჩნდა XIX საუკუნის დასაწყისში, ის უფრო 1930 წლიდან დამკვიდრდა. მას ხშირად ვხვდებით საგაჭრო მეტყველებაში, ძალიან მოდაში შემოვიდა და თანაც პროდუქტიული გახდა XX საუკუნის ბოლოს. მაგალითად: *assiette-minceur, film-culte*. ეს მოვლენა გაჩნდა თვით სამეცნიერო ლიტერატურაშიც. ასტრონომიაში დიდი მანძილის აღსანიშნავად, კერძოდ სინათლის მიერ გავლილი მანძილის აღსანიშნავად 1877 წელს ამბობდნენ *année de lumière*, 1946 წლიდან კი ამბობენ *année-lumière*.

ხელოვნების სფეროში XX საუკუნის დასაწყისისათვის, ახალმა ტექნიკამ ენაში ახალი სიტყვები დაამკვიდრა: *le collage, le papier collé, les mobiles, les stables*. ეს უკანასკნელი ჟან არპის მიერ იქნა შემოტანილი და ნიშნავს ისეთ ქანდაკებას, რომელიც უძრავად დგას თავის სადგამზე.

მას შემდეგ რაც ჯაზი გაჩნდა ევროპაში 1917 წლიდან დამკვიდრდა ინგლისური სიტყვები, რომლებიც ამერიკელმა ჯარისკაცებმა შემოიტანეს. მაგალითად: *blues, negro-spiritual, fox-trot, ragtime, swing*. უფრო გვიანდელია სიტყვა *rap...*

მუსიკალური ნაწარმოებების მოსმენისას, სიტყვა *phonographe* თანდათან გახდა *phono*, უფრო მოგვიანებით *électrophone, pick-up(1933), tourne-disque(1948)*, მანამ სანამ გაჩნდებოდა სიტყვა *chaîne stéréo...*

მნელა მიმოვიხილოთ ყველა სფერო სადაც მოხდა ლექსიკური ცვლილებები, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ სიტყვათა დიდი რაოდენობა, რომლებიც სამეცნიერო სფეროს განეკუთვნება. ისინი ფრანგულ ენაში დამკვიდრდა XX საუკუნეში. ასე მაგალითად: ქიმიაში-*fuel, nylon, plastique, plexiglas*; ელექტრონიკაში-*radar, laser, transistor, ordinateur, logiciel*; ბიოლოგიაში-*immunologie, génie génétique, clonage*; ავიაციაში-*hydravion, turbo-réacteur*; ტელეკომუნიკაციაში-*internet, e-mail*; კინოში-*rush, travelling, casting*; სპორტში-*décathlon, karaté, squash, surf*.

ამ მცირე მიმოხილვის შემდეგ შეიძლება ვთქვათ, რომ 1900 წელს დაწყებული პროცესები გრამატიკაში უფრო განმტკიცდა XX საუკუნის ბოლოს. მასში შეიმჩნევა უფრო მეტი მოქნილობა. მაგალითად ზმნა *assurer* აღარ მოითხოვს პირდაპირი დამატების გამოყენებას. საბოლოოდ გაქრა განსაკუთრებით ზეპირმეტყველებაში ორი გრამატიკული დროის- *le passé simple*-ის და *l'imparfait du subjonctif*-ის გამოყენება. ზმნიზედა *trop* გამოიყენება ზედსართავის მნიშვნელობით. მაგალითად:

il est trop, cet enfant, ანდა ზედსართავი facile გამიყენება ზმნიზედის მნიშვნელობით. მაგალითად: il l'a eu facile. ეს ფორმები მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს ერთგვარი ახალი ტიპის სინტაქსური თავისუფლება.

ასევეა ლექსიკაც, რომელმაც განიცადა და განიცდის დიდ ცვლილებებს არა მარტო მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. ლექსიკურ ცვლილებებს გამოხმაურება აქვს გარეუბნის ახალგაზრდების მეტყველებაშიც. მართალია ერთი შეხედვით მათგან ძალადობრივი ინფორმაცია მომდინარეობს, მაგრამ ამავე დროს ის ადასტურებს ფრანგული ენის სიცოცხლისუნარიანობას. სინამდვილეში ეს ახალგაზრდები, რომლებიც გარეუბანში ცხოვრობენ და რომელთა აკადემიური მოსწრება გაურკვეველია, თავიანთი გამომგონებლობით ყოველ წუთს გვიდასტურებენ, რომ მათ შესანიშნავად გაიგეს ლექსიკის განახლების ტრადიციული შესაძლებლობები. მიუხედავად ვერლანის დამღუპველი შედეგებისა, მათ იციან სიტყვებით თამაში, რათა ფრანგული ენის ლექსიკის განახლების ჩვეულებრივი მეთოდებით ახალი გამოთქმები შექმნან.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის სიტყვები რომლებსაც ეს ახალგაზრდები იყენებენ, მომავლში ფრანგულში დამკვიდრდება. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ფრანგულ ენაში გამოყენებული სხვადასხვა ფორმა თუნდაც უმნიშვნელო, გათვალისწინებული უნდა იქნას, თუ გვსურს ვალიაროთ მისი განვითარების შესაძლებლობები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Antoine, G. & Martin R. Histoire de la langue française, CNRS-Éditions, 1995 ;
2. Noilly, D. Le substantif épithète, Paris, PUF ;
3. Walter H. Des mots sans-culottes, Paris, Robert Laffont, 1989 ;
4. Walter H. Le français en mouvement, in Le français dans le monde, janvier 2001, pp. 8-17 ;
5. ჯაში ქ. ფრანგული არგო, თბილისი, «Lingua plus», 2003.

Kétévan Djachy

Le XX siècle et les changements lexicaux en français moderne

Résumé

Le présent article est consacré aux changements linguistiques survenus dans les différents domaines de la langue française au cours du XX siècle. Les changements sont toujours si lents que les usagers ne se rendent généralement pas compte que leur langue est en perpétuel mouvement. Pour pouvoir prendre la mesure de la dynamique actuelle du français, on doit se rendre compte que ces mouvements ne sont que l'aboutissement de mouvements plus anciens.